დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 15

07 ნოემბერი 2019 წელი ქ. დმანისი

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი:

1. მერაბ ოქრიაშვილი
2. გუსეინ ისმაილოვი
3. ალექსანდრე დაუთაშვილი
4. სოფიო ასლამაზაშვილი
5. გოგი ციხელაშვილი
6. კახა პეტრიაშვილი
7. თეიმურაზ აფრასიძე
8. მურაზი აბრამიშვილი
9. ზურიკო ჩხვიმიანი
10. თორნიკე ნინიაშვილი
11. ფირუზა ციხელაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ციხელაშვილი
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომის თავმჯდომარე: დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ოქრიაშვილი

სხდომის დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**

2	**დადგენილება:** "დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვალის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**კ. პეტრიაშვილი**

3	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ" 2015 წლის 16 ივლისის დადგენილებაში N18 ცვლილებების შეტანის შესახებ	
	მომხსენებელი:	**კ. პეტრიაშვილი**

4	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ	
	მომხსენებელი:	**ს. ასლამაზაშვილი**
6	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის №62 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ	
	მომხსენებელი:	**თ. აფრასიძე**
7	**განკარგულება:** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**თ. აფრასიძე**
8	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.10.2019 წლის N 65 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	
	მომხსენებელი:	**გ. ციხელაშვილი**

სხდომის თავჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები.

1.მომხსენებელი : სოფიო ასლამაზაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, აღნიშნულ ცვლილებებს წარმოადგენს შემდეგი:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N2126 განკარგულებით „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 664121ლარი, ნაცვლად 595721 ლარის ანუ გაიზარდა 68400 ლარის ოდენობით და შესაბამისად ასახული იქნა „ბინათმშენებლობის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 68400 ლარის ოდენობით.

ამრიგად დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 20414.1 ათასი ლარის ოდენობით.

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად დადგენილების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2.მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი “დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 თებერვალის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ თანხმობის პროექტი შესახებ მოგახსენებთ, რომ ცვლილება შედის

ემატება საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული ფუნქციები. პუნქტის ახალი რედაქციაა:

„9. ზედამხედველობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-თ, საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ, საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“-თ და საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა და რეაგირება.“

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად დადგენილების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

3.მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 16 ივლისის დადგენილებაში N18 ცვლილებების შეტანის შესახებ

„დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 16 ივლისის დადგენილებაში N18 ცვლილებების შეტანის შესახებ მოგახსენებთ , რომ ცვლილება შევიდა დადგენილების სათაურში, „დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზებისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“. დანართ N 2-ში:

დანართი №2

დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი

ოქმი №

„_____“ „_____“ 20 წ .

(რიცხვი, თვე, წელი)

ქ.დმანისი

1. ეს ოქმი გაიცა ----------

(აუქციონში გამარჯვებული (მყიდველი) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი და მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისამართი და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

2. მასზედ, რომ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების

(ქონების დასახელება, მისამართი (მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან) ქონების საწყისი ფასი

---------- (----------)

სიტყვიერად ციფრებით

3. შემდგომში პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის საშუალებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე – www.eauction.ge 201-- წლის „------” “---------- ----------

მოწყობილ აუქციონზე,

აუქციონის დამთავრების თარიღი: ----------
აუქციონის № ----------
აუქციონის ლოტის № ----------
ბიჯის ოდენობა: ----------
საგარანტიო თანხის ოდენობა: ----------
მის მიერ შემოთავაზებული ფასის: ----------(----------) ლარი
ციფრებით სიტყვიერად

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მყიდველი) და მას „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის და წინამდებარე ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცა დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან/მარეგისტრირებელი ორგანოდან, მათ შორის, ინფორმაცია ქონების დატვირთვის თაობაზე)
(შემდგომში – ქონება)

4. მყიდველი ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური:
---------- (----------) ლარი
(ციფრით) (სიტყვიერად)
გადაიხადოს ---------- ვადაში (აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში) შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

---

5. მყიდველს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება ანგარიშსწორებისას.

6. მყიდველი ვალდებულია დაიცვას, დათქმულ ვადაში და ჯეროვნად შეასრულოს შემდეგი პირობები:

ა) ----------
ბ) ----------
გ) ----------
დ) და. ა.შ

7. მყიდველს გადაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა - პატრონობასა და დაცვაზე.

8. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ოქმის მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ გადაცემული ქონების გასხვისების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

9. ოქმით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

10. ოქმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა:

ა) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში–დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11. აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ, საბოლოო თანხის ამავე აუქციონის პირობებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში გამყიდველის მიერ აუქციონის შედეგი განიხილება გაუქმების საფუძვლად და გამარჯვებულ პირს შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ უბრუნდება.
12. ოქმით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძვლად.
13. დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მყიდველმა უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, მყიდველს საკუთრების უფლება ეძლევა ნაკისრი ვალდებულების შერულების პირობით.
14. მყიდველი ვალდებულია ოქმით ნაკისრი ვალდებულებები, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ, აგრეთვე დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.
15. ოქმიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16. ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად. ორი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.
17. მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს ამ ოქმს.
18. ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:
ა) ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან;
ბ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იურიდიული პირია – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;
გ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აუქციონატორი: /----------/ /----------/
სახელი, გვარი ხელმოწერა

აუქციონში გამარჯვებული პირი (მყიდველი): /---------- / / ----------/
სახელი, გვარი
ხელმოწერა

დადგენილებას დაემატა დანართი N5:

დანართი #5

დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი და სხვა) გადაცემისას ელექტრონული (პირობით/უპირობოდ) აუქციონის გამარჯვების დამადასტურებელი
ოქმი

-------- ------ ---------- ქ. დმანისი

რიცხვი თვე წელი

წინამდებარე ოქმი გაიცა

[illegible] (მყიდველის) ოფიციალური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის

მისამართი და წარმომადგენლის/მინდობილი პირის სახელი, გვარი და უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად,

---

ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან

დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე – www.eauction.ge მოწყობილ აუქციონის

ჩატარებული ელექტრონული აუქციონის შესახებ ინფორმაცია:

აუქციონის დაწყების თარიღი: ----------

აუქციონის დამთავრების თარიღი: ----------

აუქციონის № ----------

აუქციონის ლოტის № ----------

ბიჯის ოდენობა ---------- (----------) ლარი

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საგარანტიო თანხის ოდენობა ---------- (----------) ლარი

(ციფრებით) (სიტყვიერად)

ქონების სარგებლობის საწყისი საფასური (ქირის ოდენობა) -------(----------) ლარი,

(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად (შემდგომში – მოსარგებლე) და მას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით სარგებლობაში გადაეცემა

(ქონების დასახელება, მონაცემები საჯარო რეესტრიდან, მათ შორის, ინფორმაცია უძრავი ქონების დატვირთვის ან/და ვალდებულებების თაობაზე, საკადასტრო კოდი, უძრავი ქონების ფართობი, ქონების სხვა აღწერილობა)

სარგებლობის ფორმა ----------;

სარგებლობაში გაცემის ვადა ----------;

აუქციონში გამარჯვებულ პირს შეტანილი ბე --------– ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

1. აუქციონში გამარჯვებული (მოსარგებლე) ვალდებულია ოქმის საფუძველზე, არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში აუქციონატორთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონების ქირის საფასურის გადაიხადოს სარგებლობის ხელშეკრულების გაფორმებისთან ერთად ყოველთვიურად მომდევნო თვის ათ რიცხვამდე, შემდეგ

საბანკო ანგარიშზე: სახაზინო კოდი ----------
---

3. აუქციონში გამარჯვებულ პირს შეტანილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

4. აუქციონში გამარჯვებული (მოსარგებლე) ვალდებულია დაიცვას, დათქმულ ვადაში და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები (პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში):

ა)----------;

ბ) ----------;

გ) ----------;

დ) ----------;

ე) ----------;

5. წინამდებარე ოქმთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის დმანისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაპირება, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე 4 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ორი რჩება მესაკუთრეს, ხოლო ორი გადაეცემა მოსარგებლეს.

- ოქმს, რომელიც გამყიდველთან რჩება, თან ერთვის:

ა) ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი იურიდიული პირია – მყიდველის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, წესდება და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი მოქმედებს წარმომადგენლის მეშვეობით – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

-მყიდველი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე ოქმის შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს მას.

აუქციონატორი: / ---------- /----------/

ხელმოწერა სახელი, გვარი

აუქციონში გამარჯვებული პირი (მოსარგებლე): /---------- / ----------/

ხელმოწერა სახელი, გვარი

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად დადგენილების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

4.მომხსენებელი: კახა პეტრიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი შესახებ მოგახსენებთ, რომ ცვლილება შედის დადგენილების მე-12-ე მუხლის მე-9 პუნქტში და ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციებს ემატება საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული ფუნქციები. პუნქტის ახალი რედაქციაა:

კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ, საქართველოს ორგანული კანონი „საარჩევნო კოდექსი“-თ და საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენა და რეაგირება.“

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

5.მომხსენებელი: სოფიო ასლამაზაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 8019,0 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 6289,0 ათასი ლარი, გრანტები - 130,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1595,0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება - 5,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცხრაჯერ; აქედან საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის N6, 2019 წლის 8 თებერვლის N207, N208 2019 წლის 26 თებერვლის N336 და 2019 წლის 15 მარტის N554 და N1733 განკარგულების საფუძველზე წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის მიმართვით ხარჯების დასაფარავად ერთხელ შიდა გადაადგილებით და ჭარბი შემოსავლების შედეგად სამჯერ, რომლის წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 20180,3 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 60,2 % (გეგმა - 17893,2 ათასი ლარი, ფაქტი - 10777,6 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 93,9% (გეგმა - 4014,6 ათასი ლარი - ფაქტი 3770,3 ათასი ლარი).

ბ) ქონების გადასახადი 100,8 % (გეგმა 1088,0 ათასი ლარი, ფაქტი 1097,2 ათასი ლარი)

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია - 47,9 % (გეგმა - 5560,9 ათასი ლარი, ფაქტი - 2664,2 ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 128 % (გეგმა - 2504,6 ათასი ლარი, ფაქტი - 3205,7 ათასი ლარი), აქედან ძირითადად შემოსულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 2700,0 ათასი ლარი RMG GOLD-ის მიერ გადახდილი თანხის შედეგად და კომერციული ბანკში განთავსებულ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან 207,8 ათასი ლარი.

ე) შემოსავალი მიწის იჯარიდან - 138,1 ათასი ლარი რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 86,3 %-ია (გეგმა 160,0 ათასი ლარი, ფაქტი 138,1 ათასი ლარი).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 17,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 29,6 %-ია (გეგმა 58,5 ათასი ლარი, ფაქტი 17,3 ათასი ლარი), ხოლო ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან შემოსულია 87,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 193,8 %-ია (გეგმა 45,0 ათასი ლარი, ფაქტი 87,2 ათასი ლარი), და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები მიღებულია - 10,3 ათასი ლარი და ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 26,8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან 13,5 ათასი ლარი.

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 94% (გეგმა - 1917,5 ათასი ლარი, ფაქტი - 1804,0 ათასი ლარი).

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხარჯები 94,2 % (გეგმა - 58,6 ათასი ლარი, ფაქტი - 55,2 ათასი ლარი).

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები - 35 % (გეგმა - 13556,2 ათასი ლარი, ფაქტი - 4748,7 ათასი ლარი.

- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 64,9 % (გეგმა 1133,0 ათასი ლარი, ფაქტი 735,8 ათასი ლარი).

- სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები - 94 % (გეგმა - 597,5 ათასი ლარი, ფაქტი 561,4 ათასი ლარი).

- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის - 90,5% (გეგმა - 385,4 ათასი ლარი, ფაქტი 348,9 ათასი ლარი).

- ზემოთ აღნიშნული ფაქტიური ხარჯებიდან;

ა) შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1062,2 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 12,9 %-ს შეადგენს.

ბ) საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯების მოცულობამ შეადგინა 1025,2 ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 12,4%, აქედან: შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე - 0,9%, ოფისის ხარჯები - 2,6 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 1,9%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 3,9%, სამივლინებო ხარჯები 0,3 და წარმომადგენლობითი ხარჯები - 0,1%. გ) ააიპ - ების სუბსიდირებაზე გაცემულია - 15,6%.

დ) სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაწეულია - 3,2%.

ე) სხვა ხარჯების მუხლით გაცემულია - 2%

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებულია - 53,8 %.

ზ) რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯები 0,1%

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 102,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) სოფელ სარკინეთში არსებულ სასმელი წყლის მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციაზე 679 ლარი ქ.დმანისში წმინდა ნინოს ქ.N41-ში მდებარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობაზე 855 ლარი და ქ.დმანისში 9 აპრილის ქ.N77-ში მდებარე სახლის ჭიშკრის მოსაწყობად 576 ლარი.

ბ) 2019 წლის 16 იანვარს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი ბინების სახურავის აღსადგენად, დაზიანებული ქონების შესყიდვის მიზნით და მრავალბინიანი კორპუსის სახურავის დროებითი გადაფარებისათვის ტენტის შესაძენად გაცემული იქნა 23922 ლარის ოდენობით.

გ) ხანძრის შედეგად დამწვარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეების საკუთრებაში არსებული დამწვარი თივის პრესის და საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივ ანაზღაურებისათვის 10150 ლარი, ასევე ერთჯერადი სახით გაცემული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად 4693 ლარი, ხოლო უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებზე სარიტუალო ხარჯების დაფარვისათვის - 5450 ლარი და სოფელ გომარეთში, სოფ.ვარდისუბანში, სოფ.ბოსლებში, სოფ.მაშავერაში, სოფ.ზემო ოროზმანში და ქ.დმანისში მცხოვრებ მოქალაქეების მკურნალობისათვის 2720 ლარი.

დ) საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში მონაწილეობის მისაღებად გაცემული იქნა 1300 ლარი და ევროპაში მონაწილეობის მისაღებად 720 ლარი. ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის

კორნელი გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში და სხვა ღონისძიების ჩატარებისათვის გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოებისათვის-მედლები, დიპლომები, თასები, სიგელების შესაძენად გაცემულია 3429 ლარი ხოლო ქალაქ მინსკში გამართულ ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე მე-3 საპრიზო ადგილის დაკავებისათვის ფულადი ჯილდოს სახით გია ნინიაშვილზე გაცემულია 5000 ლარი.

ე) შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის ნობათის სახით სასაჩუქრე პაკეტების გაცემისათვის 6736 ლარი. ვ) სოფ.პატარა დმანისში და სოფ.ზემო ოროზმანში სარიტუალო დარბაზის საპირკვლის გრუნტის გეოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის 3700 ლარი.

ზ) ქ.დმანისში ხერგიანის ქუჩაზე მდებარე საზოგადოებრივი ცენტერის წინ სივრცის შემოღობვისათვის 1921 ლარი. თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანისათვის 8500 ლარი.

ი) სახალხო დღესასწაულის ,,დმანისობა'' ღონისძიების ჩასატარებლად სხვადასხვა ხარჯებისათვის კერძოდ, კონცერტის ჩასატარებლად და მუსიკალური გაფორმებისთვის 9380 ლარი, 2 ბიოტუალეტის მოსაწყობად 1310 ლარი, დმანისის ღირსშესანიშნაობების 1000 ცალი ფლაერების დამზადებისთვის 750 ლარი, ღონისძიებებში გამარჯვებული პიროვნებების დასაჯილდოებლად 1750 ლარი და ბანერის დამზადება-მოწყობისათვის 450 ლარი, სულ 13640 ლარი.

კ) სოფ.მაშავერაში სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ზეხმელი 24 ჩინარის ხის მოჭრა და 5 ხის გადაბელვა თანხით 3200 ლარი.

ლ) დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მედალოსანი ბავშვებისთვის 2 დღიანი ექსკურსიის და სასტუმროს ხარჯებისთვის 1028 ლარი.

მ) დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის თასების, მედლების, მაისურების და კეპების შეძენისათვის 4054 ლარი. 2019 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით სარეზერვო ფონდის ნაშთი შეადგენს 17,7 ათას ლარს.

დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების და გადასახდელების დეტალური მუხლობრივი განწერა შესაბამისი კოდის მიხედვით დაფიქსირებულია თანდართულ შესრულების ფორმებში.

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

6.მომხსენებელი: თეიმურაზ აფრასიძემ ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 სექტემბრის №62 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1 2020 წლის სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში: ვინაიდან რეგ ფონდიდან დაფინანსების ლიმიტი შეამცირეს 2562000 ლარიდან 1733219 ლარამდე, რეგ პროექტები უნდა განხორციელებულიყო 7 პროექტი, ხოლო შემცირების შემდგონ ზემოდ აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში რეგ ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება 5 პროექტი, ამიტომ სოდ; მაშავერის და აზ კაკლიანის გზების

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

7.მომხსენებელი: თეიმურაზ აფრასიძემ ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის თაობაზე

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

1. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სოფ მაშავერაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (900 გრძ.მ) (19 ქულა)
ბ) დმანისის მუნიციპალიტეტ სოფელ კაკლიანში (აზერბაიჯანული) ცენტრალური გზიდან სარიტუალო დარბაზამდე მისასვლელი გზის მოწყობა (570 გრძ.მ) (18 ქულა);
გ) ამამლოს ახალ სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა (500 გრძ.მ) (15 ქულა);
დ) სოფ დაგარახლოს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (850 გრძ.მ) (13 ქულა);
ე) სოფ კიზილაჯლოს შიდა გზების რეაბილიტაცია (სასაფლაომდე მისასვლელი გზა) (1165 გრძ.მ) (13 ქულა);

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

8.მომხსენებელი : გოგი ციხელაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.10.2019 წლის N 65 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, უძრავი ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.10.2019 წლის N 65 08 განკარგულებაში

2. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 82.01.46.593) უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“

3. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2.გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში ქ. დმანისში, მ.ხერგიანის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება, 1684 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №82.01.46.593.“

დაადგინეს: ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად განკარგულების პროექტს და შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

საკრებულოს თავმჯდომარე **მერაბ ოქრიაშვილი**

სხდომის მდივანი ლომა გადრანი